სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა (სები)
www.library.court.ge

საქმე # 330210016001216563

0001114132039323

თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კერძო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ

საქმე №2ბ/835-16 **თბილისი**
"29" თებერვალი, 2016 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
თამარ ზამბახიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები:
თამარ ალანია
ეკატერინე ცისკარიძე

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენის გარეშე

კერძო საჩივრის ავტორი - გ. ჩ.

გასაჩივრებული განჩინება - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.01.2016წ. განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა - გასაჩივრებული განჩინების გაუქმება

საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული განჩინების დასკვნებზე მითითება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.01.2016წ. განჩინებით გ. ჩ.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

განჩინება ეფუძნება შემდეგს:
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი განსაზღვრავს საფუძვლებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, ხოლო ამავე კოდექსის 178-ე მუხლი ადგენს სავალდებულო წესებს და რეკვიზიტებს, რაც დაცული უნდა იქნას სარჩელის შემოტანისას, აღნიშული მუხლის პირველი ნაწილის ,,ზ" ქვეპუნქტში მითითებულია, რომ სარჩელში უნდა აღინიშნოს სასარჩელო მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 დეკემბრის განჩინებით გ. ჩ.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ დასაზუსტებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა, წარმოდგენილ სარჩელში მოსარჩელის მიერ ისევ ბუნდოვნადაა ჩამოყალიბებული მეორე სასარჩელო მოთხოვნა, რომლითაც მოსარჩელე ითხოვს დაეკისროს მოპასუხეს წელიწადში ერთხელ ,,გამცილებლის" ხარჯის გადახდა, სიცოცხლის ბოლომდე ,,ფასების ცვლილებების გათვალისწინებით", საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით განსაზღვრული მხარეთა დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი თავად განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ. სასამართლო იხილავს სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება სწორედ ამ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რომელსაც ვერც შეცვლის და ვერც გააფართოებს. ამდენად, სარჩელში ნათლად, გარკვევით და ამომწურავად უნდა იყოს მითითებული, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე. სასამართლოსთვის მომართვის დროს მხარემ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ სასარჩელო მოთხოვნა და დავის ფაქტობრივი გარემოებები ჩამოყალიბებული იყოს იმგვარად, რომ არ იყოს ბუნდოვანი სასამართლოსთვის და ქმნიდეს დავის არსის სრულყოფლად გაგების საფუძველს, სარჩელს უნდა გააჩნდეს გარკვეული პერსპექტივა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისა, შესაბამისად მოსარჩელემ კონკრეტულად უნდა მიუთითოს რა თანხის დაკისრებას ითხოვს სს ,,ს. რ.-სგან".

- სასამართლო აქვე განმარტავს, რომ სარჩელის წარმოდგენილ კონფიგურაციაში (წყობაში) დატოვება და შესაბამისი სამოქალაქო სამართალწარმოების გახსნა და შემდგომი განვითარება, ბუნდოვანს გახდის მომავალში მისაღები შესაძლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, შინაარსს და ასევე საეჭვოდ წარმოჩინდება მისი აღსრულების შესაძლებლობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ითვალისწინებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას; თუმცა აღნიშნული არ უნდა იქნეს გაგებული, როგორ თეორიული უფლება და მან არ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ უფლების აღიარება საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით. საქმეში - APOSTOL V. GEORGIA, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსადმი საჩივრით მიმართვის უფლება ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება (ვინაიდან აღსრულება სასამართლო სამართალწარმოების განუყოფელი ნაწილია).

- მითითებული პრობლემა ასევე შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დადგება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაშე, ვინაიდან მითითებული სასარჩელო მოთხოვნით დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში იგი შესაძლოა ვერ გახდეს აღსრულებაუნარიანი.

- ამდენად, წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის მოთხოვნებს, რაც ამავე კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,თ'' ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია.

- სასამართლო განუმარტავს მოსარჩელეს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე", „ზ" და „თ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით მოსამართლის უარი განცხადების მიღებაზე ხელს არ უშლის მას, განმეორებით მიმართონ სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.01.2016წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა გ. ჩ.-მ.

სააპელაციო სასამართლო გაეცნო რა წარმოდგენილ კერძო საჩივარს, ,შეისწავლა საქმის მასალები, მიაჩნია, რომ კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას (განჩინებას) სააპელაციო საჩივრის (კერძო საჩივრის) ფარგლებში სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულია განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, შესაბამისად, უნდა შეფასდეს, არსებობს თუ არა სარჩელის დაუშვებლობის საფუძველი.

I. არ არსებობს განჩინების გაუქმების საფუძველი იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა მიღებული წარმოებაში სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისათვის წელიწადში ერთხელ სიცოცხლის ბოლომდე ფასების ცვლილებების გათვალისწინებით გამცილებლის ხარჯის დაკისრების თაობაზე. შესაბამისად, კერძო საჩივარი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილედს და განჩინება ამ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი.

პალატა იზიარებს გასაჩივრებულ განჩინებაში მოცემულ მსჯელობას მოთხოვნის ბუნდოვანების თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია რა დისპოზიციურობის და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ, რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (სსკ-ის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. მითითებული მუხლი დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა, სასამართლო, სამოქალაქო საქმის განხილვისას შებოჭილია მხარეთა მოთხოვნებით და მას არა აქვს უფლება, იმსჯელოს იმ საკითხებზე, რაც სარჩელით არ არის განსაზღვრული. მოსარჩელის მიერ მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული სასარჩელო მოთხოვნა, ვინაიდან, სასარჩელო მოთხოვნის შინაარსი შეადგენს სარჩელის საგანს.

სასამართლო სარჩელს იხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს სწორედ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში. სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობიდან გამომდინარე, კანონი მის შინაარსთან მიმართებით მკაცრ მოთხოვნებს აწესებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასთან ერთად მოიაზრება სასამართლოს ვალდებულება, დასაბუთებულად და სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას მის მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მეხუთე ნაწილი იმპერატიულად ადგენს, რომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე, მითითებას გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

ამდენად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს მოდავე პირთა უფლებებსა და ვალდებულებებს. ამავდროულად, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სამომავლოდ არ უნდა ქმნიდეს რაიმე გაურკვევლობას ან შეიცავდეს საეჭვო, სადავო დებულებებს, რაც ხელს შეუშლის მის აღსრულებას. ყოველივე აღნიშნული არღვევს პირის როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას (იხ. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი). საქმეში - შპს "იზა" და მაკრახიძე საქართველოს წინააღმდეგ სასამართლო აღნიშნავს, რომ "სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ კონტრაქტორი სახელმწიფოს ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება "სასამართლო პროცესის" განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

ამდენად, სარჩელის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის, წელიწადში ერთხელ, გამცილებლის ხარჯის დაკისრებას სიცოცხლის ბოლომდე, ფასების ცვლილებების გათვალისწინებით. მის მიერ გამცილებლის ხარჯის სახით მოთხოვნილი კონკრეტული თანხა სარჩელში აღნიშნული არ არის, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი პირველი ნაწილის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე უნდა ყოფილიყო მითითებული. პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს მიერ ბუნდოვანი, დაუზუსტებელი სასარჩელო მოთხოვნის წარმოებაში მიღებით და განხილვით საფრთხე შეექმნება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში. თავად მოსარჩელის ინტერესშია გამართული სარჩელის წარდგენა. შესანამისად, ამ ნაწილში მართებულად არ იქნა სარჩელი წარმოებაში მიღებული.

II. უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც არ იქნა წარმოებაში მიღებული შემდეგი სასარჩელო მოთხოვნები -
- დაეკისროს მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ სპეციალური სამედიცინო მომვლელისათვის გაწეული ხარჯის გადახდა ყოველთვიურად 1335 ლარი 15.07.2015წ.-დან;
- დაეკისროს მოპასუხეს 2014 წელს "გამცილებელ" ტ. ჩ.-ზე გაწეული ხარჯის გადახდა 805 ლარის ოდენობით;
- დაეკისროს მოპასუხეს 2015 წელს "გამცილებელ" გ.მ.-ზე გაწეული ხარჯის გადახდა 764.70 ლარის ოდენობით.
გ. ჩ.-ს სარჩელი ამ ნაწილში დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

პალატა აქვე აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს სასარჩელო მოთხოვნების გრაფაში მითითებული აქვს ადვოკატის მომსახურების ხარჯის მოპასუხეზე დაკისრება. ამასთან, ეს მოთხოვნა შინაარსით არ წარმოადგენს სარჩელის საგანს, არამედ არის სასამართლოსგარეშე ხარჯის მოთხოვნა. შესაბამისად, სააპელაციო პალატა არ მსჯელობს ცალკე მის დასაშვებობაზე. თუ რომელიმე სასარჩელო მოთხოვნა მიღებული იქნება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაში, სასამართლო იმსჯელებს ადვოკატის ხარჯების ანაზღაურებაზეც.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, თუ ადგილი აქვს 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს. იმავე კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტით, გადაწყვეტილება (განჩინება) ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული.

მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს განჩინება მითითებულ ნაწილში სარჩელის მიღებაზე უარის თქმის თობაზე არ არის საკმარისად დასაბუთებული.

გასაჩივრებულ განჩინებაში აღნიშნულია, რომ "სარჩელის წარმოდგენილ კონფიგურაციაში (წყობაში) დატოვება და შესაბამისი სამოქალაქო სამართალწარმოების გახსნა და შემდგომი განვითარება, ბუნდოვანს გახდის მომავალში მისაღები შესაძლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობას, შინაარსს და ასევე საეჭვოდ წარმოჩინდება მისი აღსრულების შესაძლებლობა". აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ ეს მოთხოვნები ჩამოყალიბებულია გარკვევით, სარჩელში მითითებულია ასევე გარემოებები, რომლებსაც ეფუძნება მოთხოვნები.

რაც შეეხება საკითხს, როგორი იქნება მომავალი გადაწყვეტილების შინაარსი, პალატა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ სარჩელის დასაშვებობის ეტაპზე არ ხდება სარჩელის საფუძვლიანობის შეფასება. სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ საბოლოო დასკვნა წარმოადგენს სარჩელთან დაკავშირებით წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების რეზულტატს, რაც მოცემულ ეტაპზე არ წყდება.

ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ კერძო საჩივარი ამ ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, განჩინება ნაწილობრივ გაუქმდეს და სარჩელი ამ ნაწილში დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზემდგომი სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრის თაობაზე არ გასაჩივრდება.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 385-ე, 394-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ჩ.-ს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.01.2016წ. განჩინება მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ სპეციალური სამედიცინო მომვლელისათვის გაწეული ხარჯის ყოველთვიურად 1335 ლარის 15.07.2015 წლიდან დაკისრების, ასევე 2014 წელს "გამცილებელ" ტ. ჩ.-ზე გაწეული ხარჯის 805 ლარის ოდენობით დაკისრების და 2015 წელს "გამცილებელ" გ. მ.-ზე გაწეული ხარჯის 764.70 ლარის ოდენობით დაკისრების მოთხოვნების მიღებაზე უარის თქმის ნაწილში და გ. ჩ.-ს სარჩელი ამ ნაწილში დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.01.2016წ. განჩინება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. განჩინება არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე: **თ. ზამბახიძე**

მოსამართლეები: **თ. ალანია**

ე. ცისკარიძე